თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3090199

ნომერი: AR1474785

თარიღი : 31.01.2017

გაცემის თარიღი : 10.02.2017

გაცნობის თარიღი : 10.02.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გურამიშვილის გამზირისა და ქვიშხეთის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქი თბილისი, გურამიშვილის გამზირისა და ქვიშხეთის ქუჩის გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დემურ ქურდაძე პ/ნ 01027020351
- თბილისი III მასივი ზემო პლატო კორ. 49 ბ. 26

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 31/01/2017 AR1474785 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირისა და ქვიშხეთის ქუჩის გადაკვეთასთან არსებულ ტერიტორიაზე ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მუხლი N66-ის პუნქტი N6-ის და მუხლი N17-ის პუნქტი N2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა) შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირისა და ქვიშხეთის ქუჩის გადაკვეთასთან არსებული ტერიტორიის მიმდებარედ ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოსაწყობად 2018 წლის 10 თებერვლამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.